



N 21/1814  
18/05/2022

1814-21-2-202205181820



### ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

მის: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას 14

ელ. ფოსტა: [t.dzimistarishvili@hotmail.com](mailto:t.dzimistarishvili@hotmail.com);

[info@waste.gov.ge](mailto:info@waste.gov.ge)

### სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

2022 წლის 1 აპრილს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილ იქნა განცხადება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელიც ეხება სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მშენებლობასა და ექსპლუატაციას. აღნიშნული პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვების ჩანიშვნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყო: 2022 წლის 19 მაისს, 16:00 სთ-ზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფ. ცაცხვის საბაზო სკოლაში და 2022 წლის 20 მაისს, 12:00 სთ-ზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფ. დიდინემის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. (იხ. ლინკი: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33970>). აღნიშნულის შესახებ გეცნობათ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 15 აპრილის N 3863/01 წერილით.

მიმდინარე წლის 18 მაისს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა განცხადება N04/185, რომლის მიხედვით კომპანიაში მიმდინარე ადმინისტრაციული საკითხების გათვალისწინებით, მათ შორის, საერთაშორისო ინსტიტუტების მისიებში კომპანიის წარმომადგენლების მონაწილეობისა და პროექტების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ საჯარო განხილვებზე დასწრების შეუძლებლობის გამო, კომპანია ითხოვს ჩანიშნული საჯარო განხილვების ერთი კვირის ვადით გადადებას. აღნიშნულიდან გამომდინარე საჯარო განხილვები გაიმართება: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფ. დიდინემის

ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში - 2022 წლის 20 მაისის ნაცვლად, 2022 წლის 27 მაისს 12:00 სთ-ზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფ. ცაცხვის საბაზო სკოლის შენობაში 2022 წლის 19 მაისის ნაცვლად, 27 მაისს 16:00 სთ-ზე. (იხ. განცხადება: <https://nea.gov.ge/Ge/GZSH/83>)

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვების დროის ცვლილების შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს (სოფ. ცაცხვი და სოფ. დიდინეძი) საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილას (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადმოაგზავნოთ ფოტომასალის სახით.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2022 წლის 7 ივნისის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: [eia@mepa.gov.ge](mailto:eia@mepa.gov.ge).

დანართის სახით, გიგზავნით შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილ N04/185 განცხადებას.

დანართი: ტექსტის თანახმად.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

